

K 12.424
2



გზვილსი სჳვაოეა

აშარის სახელმწიფო ბამომცემლობა

8-89




მანვიდსიფუაობა

K12.424
2



თქმულეა-ნაკვესები, მოსწრებული
სიტყვები და სხვა
შეკრებილი დ. ჯ ა ვ ა ხ ი ა ს [მიერ



აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი

1938



წინასიტყვაობა

მახვილგონივრული და მოსწრებული გამოთქმები, იგაფები და ოხუნჯობანი მრავლად მოიპოვება ხალხურ ზეპირსიტყვაობაში, საკმაო ადგილი უჭირავს მას მწერლობაშიც. ყველა ეს ცხოვრების ღრმა დაკვირვების და ცოდნის შედეგია. ჩვენთვის ცნობილია თუ რა დიდ ადგილს უთმობდა მახვილგონივრულ გამოთქმებს მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი უილიამ შექსპირი. მის ტრაგედიებში მომქმედ პირთა შორის ხშირად შეხვედებით ხუმარას, რომელსაც არც ისე მკვირვ როლი აქვს დაკისრებული. „მეთორმეტე ღამე“-ში შექსპირი მას ასე ახასიათებს: „აი, გაიძვერა, რომელსაც საკმაო ნიჭი აქვს, რომ ხუმარა გახდეს, ეს თანამდებობა არც ისე მარტივია, საჭიროა ენამახვილობა, საჭიროა ცოდნა სულისა, თვისებებისა და კჳუისა იმ პირების, რომლებთანაც იგი ხუმრობს, საჭიროა ღროს შერჩევა და სხვა. ასეთი თანამდებობის ასრულება ხანდახან გაუჭირდებოდა თვით ბრძენსაც კი“.


წინამდებარე წიგნაკში არის ერთი პატარა ნაკვეთი, რომელიც ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს მონტესკიეს. მას ერთხელ უთხრეს თურმე, რომ ენამახვილი სიტყვის თქმა —ეს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევააო. მონტესკიეს დაემატებია: — „მაგრამ ეს ბედნიერი შემთხვევა მხოლოდ

კკუიან ადამიანს მოუდისო“. ამ პატარა შენიშენაში ერთის მხრით მოსწრებული პასუხია მოცემული, ხოლო მეორეს მხრივ — მახვილგონივრული გამოთქმის ანალიზი. ასეთი და ბევრი მსგავსი გამოთქმით, როგორც ზევით ვთქვით, მდიდარია როგორც ხალხური შემოქმედება, ისე მწერლობა. მკითხველი საზოგადოება მას ხალისით ეკიდება. მე შევეცადე შემეგროვებია ისინი. მოცემულ წიგნაკში შეტანილი გამოთქმები ისტორიაში ცნობილ პირებს ეკუთვნის. ბევრი მათგანი გაბნეულია სხვადასხვა წიგნებში და პერიოდულ გამოცემებში, — მე ამოვკრიფე ისინი, ზოგიერთიც გაგონილი აღვადგინე.

მიუხედავად იმისა, რომ აქ მოყვანილი მოსწრებული სიტყვები და ოხუნჯობანი სხვადასხვა პირებს მიეწერება, მათში კოლექტიური — ხალხური უფრო მეტია, ვინემ ინდივიდუალური. ამითაცაა ის უფრო საინტერესო.

ე ს ო პ ე

(VI ს. ჩგ. წელთაღრიცხვამდის)



იგავ-არაკების ცნობილ გამომთქმელს ესოპეს ერთხელ ვილაც მგზავრმა ჰკითხა:

— კეთილო მგზავრო, რამდენ ხანში შემიძლია ჩავიდე ქალაქში?

— გაიარეთ—უბასუხა ესოპემ.

— შე თქვენ გკითხეთ:—რა ხანი დამკირდება ქალაქში ჩასვლამდის?

ესოპემ გაუმეორა:

— იართ!

ეს ვილაც სულელია,—გაიფიქრა მგზავრმა, შეკითხვა აღარ გაუმეორა და განაგრძო გზა. მაგრამ, როდესაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ესოპემ მიიძახა:

— ორ საათში ჩახვალთ ქალაქშიო!

— რად არ მითხარით ეს მაშინ, როდესაც გეკითხებოდით? ჰკითხა მგზავრმა.

— მაშინ როგორ მეპასუხნა, როდესაც არ ვიცოდი თუ როგორ დადიოდითო,—უბასუხა იგავ-არაკების დიდმა ოსტატმა.



სოკრატე

(469—399 წ. წელთაღრიცხვამდის)

საბერძნეთის ფილოსოფოსი სოკრატე ლოთებს სამ ჯგუფად ანაწილებდა:

თხისებურად, გიჟურად და ღორულად.

პირველი ჯგუფის ლოთები მხიარულნი არიან: დახტიან, ცეკვავენ და ტლინკაობენ, როგორც თხებიო.

მეორე ჯგუფის — ჭკუას კარგავენ, გიჟდებიან და გაურჩეველნი ხდებიანო.

მესამეთ—ავიწყდებათ თავიანთი ადამიანური ღირსება, ხდებიან დაუდევარნი და ტალახში ეფლობიან, როგორც ღორიო.

*
* *

დიდ ფილოსოფოსს სოკრატეს საბერძნეთის მოსამართლეებმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს და ციხეში ჩასვეს.

ამ დროს მასთან მივიდა მისი ცოლი ქსანტიპა და ცრემლმორეულმა უვიცი მოსამართლეების განაჩენი აცნობა.

ბრძენმა მშვიდად უთხრა ცოლს:

— რაზედ ტირი? განა არ იცი, რომ ჩემს მოსამართლეებზედაც ბუნების მიერ სიკვდილის განაჩენი უკვე გამოტანილია?

— კი, მაგრამ ისინი შენ ხომ უმართებლოდ გსჯიან!

— მაშ შენ გინდოდა, რომ მე ბოროტმომქმედი ვყოფილვიყავი და სამართლიანად დავესაჯეთ?


აუღელვებლად უპასუხა ფილოსოფოსმა.





პ ლ ა ტ ო ნ ი

(427—348 ხვ. წელთაღრიცხვამდის)



საბერძნეთის ფილოსოფოს პლატონს ქ. ათინაში თავისი ფილოსოფიური სკოლა—აკადემია ჰქონდა გახსნილი (387 წ.).


ერთხელ მას მოწაფეებმა ჰკითხეს მასწავლებლის როლის შესახებ.

პლატონმა უპასუხა:

— თუ მეწაღე ცუდი გამოდგება და თავის მოწაფეს ისევე ცუდად აღზრდის, როგორც თვითონ არის, თუ ის თავისთავს მეწაღეს დაუძახებს მაშინ, როდესაც ამ ხელობაზე მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს—სახელმწიფოს ამით დიდი ზარალი არ მოუვა. ათინელებს ფეხთ ცოტა ცუდად ეცმევათ, —აი ამისი ერთადერთი შედეგი. მაგრამ თუ ახალგაზრდების აღმზრდელები მხოლოდ სახელით იქნებიან ასეთები, თუ ისინი ცუდად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაშინ შედეგები სულ სხვანაირი აღმოჩნდება: ამათი ხელიდან გამოსული ცუდი შრომა მისცემს სახელმწიფოს უმეცარსა და მავნე თაობებს, რომელნიც თავიანთი ქვეყნის მომავალს დალუპავენო.

დ ი ო გ ე ნ ი

(404—323 ჩვ. წელთაღრიცხვამდის)



ზაფხულის ერთ მზიან დღეს დიოგენი გამოსულიყო ქ. ათინის ქუჩაში ანთებული დიდი ფანრით ხელში და აქეთ-იქით იყურებოდა.

ჰკითხეს:

— დიოგენ, რას ეძებ ამ ფანრით ამ დღის სინათლეშიო.

— აღამიანს, რომელიც ვერ მიპოვნიაო,— უბასუხა დიოგენმა.

ხალხში დარჩენილია გამოთქმა: „დიოგენის ფანრით რომ ეძებო—ვერ ნახავო,“—ე. ი. არ არსებობს საშუალება მოიძებნოსო.

* * *

დიოგენს საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდა. ღამით ერთ დიდ კასრში ჩადიოდა და იქ იძინებდა.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს დიოგენი კასრის ახლო მიმჯდარიყო და მზეზე თბებოდა.

ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც გავლით ამ

ადგილებში იმყოფებოდა, მოესურვა დიოგენის ნახვა და მასთან გამოლაპარაკება.

მალე მას აჩვენეს კასრის გვერდით მჯდარი დიოგენი.

მაკედონელი მივიდა მასთან და ჰკითხა:

— დიოგენ, შენ ფილოსოფოსს გეძახიან, — ასეთი ცხოვრება შენ არ შეგშვენის, წამოდი ჩემთან, რომ უკეთესად გაცხოვროო.

— თქვენ მშვიდობიანი ცხოვრებისათვის არა ხართ მოწოდებული... გთხოვთ, თუ შეიძლება, გვერდზე გაიწიოთ, მზის სხივებს ნუ მიჩრდილავთო.

ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად იყო თქმული, რომ ალექსანდრეს პასუხი არ გაუცია და გაშორდა მას.

* * *

დიოგენი მეტად მარტივ ცხოვრებას ეწეოდა და არაფითარი საკუთარი ქონება მას არ გააჩნდა. თან მხოლოდ წყლის სასმელ ჭურჭელს ატარებდა.

ერთ დღეს წყაროსთან დაინახა ვიღაც მგზავრი, რომელიც პეშვით წყალს სვამდა.


მაშინ დიოგენმა აიღო წყლის ჭურჭელი და შორს გადააგდო.

— რა საჭიროა ეს ჭურჭელი, თუ პეშვითაც წყლის სმა კარგად შეიძლებაო.



ალექსანდრე მაკედონელი

(356—323 წ. წელთაღრიცხვამდის)



ალექსანდრე მაკედონელი აზიის ერთ დაპყრობილ ქალაქში შედიოდა.

ქალაქის აღებას ალექსანდრე დიდხანს მოუნდა და ბევრი ჯარისკაციც დაეხოცა, ამიტომ ის ქალაქში გაბრაზებული შედიოდა და ქალაქს განადგურებას უქადდა.

ქალაქის გალავანთან მიახლოებისას ალექსანდრეს წინ გამოეგება მეცნიერის მოსახამში გახვეული კაცი. ალექსანდრე მიუხვდა, თუ რისთვის მოდიოდა ის, და სიტყვა დაასწრო:

— მე თქვენ მიგიღებთ, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენს თხოვნას მე არ შევასრულებ!


— დიღო მეფეო, მიუგო მეცნიერმა, გთხოვთ ეს ქალაქი ცეცხლსა და მახვილს მისცეთ!

ალექსანდრე შესდგა და დაფიქრებულმა უპასუხა:

— ქეშმარიტად თქვენ მეცნიერი ყოფილხართ! და ქალაქისათვის ხელი აღარ უხლია.

ლ ა ნ ი ე ლ ს ვ ი ზ ბ ი

(1663—1745)



— „**გ**ულივერის მოგზაურობის“ ავტორი ერთხელ სასეირნოდ მიდიოდა.

კალოშების ჩაცმისას შენიშნა, რომ ის ცუდი გარე-
ცხილი იყო და მოსამსახურეს უსაყვედურა.

— სულერთია, უპასუხა მოსამსახურემ, გაივლ-გამო-
ივლით და ისევ გაისვრებაო.

სვიფტმა არაფერი არ უპასუხა.

იმავე საღამოს მოსამსახურემ სვიფტს საკუქნაოს გა-
საღები სთხოვა.

— რად გინდათ? ჰკითხა მწერალმა.

— საკმელი უნდა გამოვიტანო, მშია!


— რა საჭიროა ახლა საკმელი? სულერთია, გაივლ-
გამოივლით და ისევ მოგწვივდებათ!

ირონიულად უპასუხა სვიფტმა.



ვოლტერი

(1694—1778)



— ერთ ოჯახში, სადაც ვოლტერიც იყო, ლაპარაკი ჩამოვარდა დედამიწის სიძველეზე. ჰკითხეს ვოლტერს:—რამდენი ხნის უნდა იყოს დედამიწა?

— მე ვფიქრობ, უპასუხა ვოლტერმა,—დედამიწა ხანშესულ ქალსა ჰგავს, რომელიც მუდამ მალავს თავის წლოვანობასო.

* * *

ვოლტერი ვერ ითმენდა, როდესაც მას მნახველები აწუხებდნენ მრავალი შეკითხვით.

ერთ მნახველს, რომელიც მივიდა მასთან ჩვეულებრივი შეკითხვით წინასწარ განუცხადა:

— ძალიან მოხარული ვარ თქვენი მოსვლით, მაგრამ უნდა განგიცხადოთ, რომ მე არაფერი ვიცი იმაზე, რაზეც თქვენ უნდა შემეკითხოთო.

მონტესკიე

(1689—1755)

ურანგი მეცნიერი მონტესკიე ენამახვილი ადამიანი იყო.

ერთ ოჯახში, სადაც მონტესკიეც იყო, სიტყვა ჩამოვარდა ენამახვილობაზე.

ერთმა მოხელემ რამდენიმე ენამოსწრებული სიტყვა სთქვა, რის შემდეგ თავმოწონებით დაუმატა, რომ მოსწრებული სიმახვილე მხოლოდ ბედნიერი შემთხვევააო.

— სავსებით მართალია, უპასუხა მონტესკიემ, მაგრამ ეს ბედნიერი შემთხვევა მხოლოდ კეჟიან ადამიანს მოუდისო.

* * *

ერთხელ მონტესკიეს რალაცაზე დავა მოუხდა სასახლის მდივანთან.

მდივანი თავგამოდებით იცავდა თავისას:


— თუ მე მართალი არ ვიყო, მზად ვარ საკუთარი თავი შემოგთავაზოთო.

— აგრე იყოს, უპასუხა მონტესკიემ, ცარიელი საჩუქრები მეგობრობას არა ვნებსო.



ბ ა ლ ზ ა კ ი

(1799—1850)



2
11


სწობილი ფრანგი მწერალი ბალზაკი მეტად ამოცობდა იმით, რომ მას შეუძლია უბრალო ხელნაწერით ადამიანის ხასიათის გამოცნობა. ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დაწერილი ორი სტრიქონი უფრო მეტს იტყვის ადამიანზე, ვინემ მისი სახე, რომელიც რატომღაც „სულის სარკედაა“ მიჩნეულიო.

ერთმა მანდილოსანმა, რომელიც მწერლის მოთაყვანე იყო, ერთხელ ბალზაკის მოწაფეობის რვეულიდან ამოიღო დაწერილი ფურცელი და მიუტანა მწერალს დამწერის ხასიათის გამოსაცნობად.

ბალზაკი დააკვირდა ხელნაწერს და დაიწყო ამოცნობა:

— ეს დაწერილია 14—15 წლის ყმაწვილის მიერ. მაგრამ სანამ ჩემს აზრს გამოვსთქვამდე ამის დამწერის შესახებ, მე მინდა ვიცოდე—ეს ყმაწვილი თქვენი შვილი ან ნათესავი ხომ არ არის?

— ოჰ, არა—დაამშვიდა მანდილოსანმა.



— მაშ, რადგანაც ასეა, გეტყვით მართალს—უბასუხა მწერალმა,—ეს ყმაწვილი ძალზე უნიჭოა, ზარმაცი და გაუსწორებელი. საერთოდ, ის ცუდი ეგზემპლიარია. ის რომ ჩემი შვილი იყოს, გამასწორებელ სახლში მოვათავსებდიო.


მანდილოსანს სიცილი წასკდა და ბალზაკს გაუმხილა, რომ მან ეს ფურცელი მისივე მოწაფეობის დროის რვეულიდან ამოხია.

მწერალი ისე შეურაცყოფილი დარჩა, რომ ამ მანდილოსანს მის სახლში შესვლა აუკრძალა.



ჰ ე ნ რ ი ხ ჰ ე ი ნ ე

(1797—1855)



ჰენრიხ ჰეინე მეტად გულკეთილი ადამიანი იყო და უმნიშვნელო უსამართლობასაც ვერ ითმენდა.

ერთხელ ის საყვედურობდა ერთ თავის მეგობარს, რომ მან რაღაც პატარა მიზეზისა გამო სახლიდან გააგდო მოსამსახურე, რომელიც მასთან რამდენიმე წელიწადს მსახურობდა.


— ჩემთან თავშესაფარი არაა, — უპასუხა მეგობარმა. მაგრამ ნურც ის გგონიათ, რომ მე გულკეთილი არ ვიყო. მაგალითად, მე ვინახავ ორ ბებერ ძაღლს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაფრის მაქნისი არ არიან. მე ისინი მიყვარს კიდევაცო.

— მესმის, მესმის — დაცინვით შენიშნა ჰეინემ, — თქვენ იცავთ მოყვასთადმი სიყვარულის მცნებას.



ი. ნ ი უ ტ ო ნ ი

(1642—1727)



უდიდესი მათემატიკოსი ისაკ ნიუტონი ხშირად უცნაურ დაბნეულობას იჩენდა.

ერთხელ ის გართული იყო დიდი მათემატიკური გამოანგარიშებით; როდესაც კამა მოუნდა, მან აიღო უმი კვერცხი, მიაღვა ბუხარში ქოთანის წყლით და შემდეგ წყალში ჩააგდო... ჯიბის საათი, ხოლო ხელში დაიჭირა კვერცხი და ხელახლა გაერთო მუშაობაში.

* * *


როდესაც ნიუტონი სახლიდან მიდიოდა, ვინაიდან მას მოსამსახურე არ ჰყავდა, კარებზე ყოველთვის ჰკიდებდა პატარა აბრას წარწერით „არაა შინ“.

ერთხელ ის წავიდა თავის მეგობართან. გზაზე მოაგონდა, რომ დაავიწყდა შინ წიგნი, რომელიც მეგობრისათვის უნდა დაებრუნებია. ის სწრაფად მობრუნდა სახლში, ავიდა კიბეზე, გაჩერდა თავის ბინის კარების წინ და, როდესაც წაიკითხა ზედ წარწერა— „არაა შინ“, თავი დააქნია და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— რას იზამ... შინ არ ყოფილა!
და ისევ გაბრუნდა მეგობრისაკენ.

ს ა ზ ი რ ი

(1795—1858)

 ერთხელ გამოჩენილ პოეტ-იუმორისტ საფირთან მივიდა ერთი მისი მეგობარი. საფირი ამდროს შინ არ იყო. მეგობარმა კარებზე წააწერა: ვირი.

მეორე დღეს მეგობარმა უთხრა საფირს:

— გუშინ მე თქვენთან ვიყავი, მაგრამ შინ არ დამიხვდით.

— ვიცი, უპასუხა საფირმა,—თქვენი სახელი წაგეწერათ კარებზეო.

* * *


ერთ მეგობარზე, რომელიც მუდამყამ მთერალი იყო, საფირი იტყოდა:

— დილით ის ღვინის კასრია, საღამოთი—კასრი ღვინითაო.



ა. ს. პუშკინი

(1799—1837)



— **ქ**იდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი ახალგაზრდობაში მეტად ცელქი და მოუსვენარი ყმაწვილი იყო. ამხანაგებიც ამ ხანებში ასეთივე ჰყავდა.

ცარსკოე სელოს (ამჟამად პუშკინო) ლიცეიში, სადაც ის სწავლობდა, აღმზრდელად მსახურობდა ვინმე ტრიკო, მეტად მკაცრი და გადაქარბებული დისციპლინის მოყვარული ადამიანი.

ერთხელ პუშკინს მოუნდა ამხანაგებთან ერთად პეტერბურგში გასეირნება, მაგრამ აღმზრდელმა ტრიკომ ამაზე ნება არ დართო.

მაშინ პუშკინი მოელაპარაკა თავის მეგობარ კიუხელბეკერს გაპარულიყვნენ პანსიონიდან.

პირველად პუშკინი გაიპარა და, როდესაც საგუშაგოზე დარაჯმა ჰკითხა გამვლელს გვარი, პუშკინმა დაუფიქრებლად დაუსახელა:

— ოდნაკო.

პუშკინს კიუხელბეკერიც გაჰყვა. ამან დარაჯს გვარად დაუსახელა—დვაკო.

დარაჯს ეუცხოვა ასეთი გვარები, დაეჭვდა კიდე-

ვაც, მაგრამ გვარები მაინც ჩაიწერა და ყმაწვილები გაუშვა.

აღმზრდელმა შეამჩნია მოსწავლეთა გაპარვა და თვითონაც მათ დაედევნა. მაგრამ, როდესაც საგუშაგოს დაუსახელა თავისი ნამდვილი გვარი—ტრიკო, —გუშაგმა გაბრაზებით უპასუხა:

— მოითმინეთ, თქვენთან სამსახაროდ მე არ მცალია: ოდნაკო, დეაკო, ახლა ტრიკოც გამოჩნდით არა? თქვენ აქ მოიცდით, სანამ უფროსი გამოივლიდეს და თქვენს ვინაობას გამოარკვევდესო.

და საცოდავ ტრიკოს მოუხდა მთელი დღე იქ დაცდა, სანამ არ გამოცხადდა პოლიციის უფროსი და არ გაათავისუფლა აბეზარი აღმზრდელი.

პუშკინი და კიუხელბეკერი კი ამ დროს პეტერბურგში დასეირნობდნენ.

* * *

როგორც ყოველ დიდბუნებოვან ადამიანს, პუშკინსაც ბევრი მოშურნე და მტერი ჰყავდა.

ერთს ოჯახში, სადაც პუშკინიც იყო, თავი მოეყარა პოეტისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფს. მათ განეზრახათ პოეტზე დაცინვის მოწყობა. ერთმა იმ დროის ცნობილმა პოეტმა, ამ ჯგუფის წევრმა, შეთხზა საკილავი ლექსი, მიძღვნილი პუშკინისადმი.

ჩაის სმის დროს ლექსის ავტორი ადგა და პუშკინისათვის მოულოდნელად დაიწყო ლექსის კითხვა:

— მსურს მიფუძღვნა მგოსანს თავი
დიდყურასი სამახსოვროდ...

პუშკინმა იმწამსვე სიტყვა შეაწყვეტინა და ენამოსწრებულად შენიშნა:

— შენ რომელი თავი დაგჩა,
ხომ გახდები სამათხოვროდ?

ლექსის ავტორი არ მოელოდა პოეტის ჩარევას, მაგრამ მაინც უპასუხა:

— მე ჩემი მაქვს საკუთარი,
რად შექნება სათხოვარი?

პუშკინმა სარკასტულად დაუმატა:

— შენ ხომ იგი უხვი გულით
სხვაზე გაეც საჩუქარი?!

ლექსის ავტორი საბოლოოდ დაიბნა და ლექსის კითხვა აღარ გაუგრძელებია.

* * *

მეგობრულ წრეში ერთმა ოფიცერმა, გვარად კანდიბამ, სთხოვა პუშკინს გამოეთქვა რითმა სიტყვებზე „რაკ“ და „რიბა“.

პოეტმა მყისვე გაურითმა:

— „დურაკ კანდიბა“.

— ასე არა... შეწუხდა ოფიცერი,—ასე არ მინდოდა. შენ გამირითმე „რიბა“ და „რაკ“.

პოეტმა პასუხი არ დაუგვიანა:

— „კანდიბა დურაკ“.

* * *

პოეტის მეუღლე ნ. გონჩაროვა მეტად ლამაზი ქალი იყო. ყველგან, სადაც კი ის გამოჩნდებოდა, მას თან ეხვია მოთაყვანეთა მთელი გუნდი, რაც ძალზე აჯავრებდა პუშკინს.

ერთ საღამოს, როდესაც პუშკინის მეუღლე ჩვეულებრივად უცხო მამაკაცებში ერთობოდა, მან შენიშნა, რომ მოწყენილი პუშკინი კუთხეში იდგა და რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. ის მაშინვე მოშორდა ამ ჯგუფს, მივიდა ქმართან, მოხვია მხრებზე ხელები და უთხრა:

— რისთვის მოგიწყენია, ჩემო მეგობარო? ასე არ შეშვენის ყველიერის კვირას.

პუშკინმა ღიმილით უპასუხა:

შენი პოეტისთვის დადგა
დიდი მარხვა მეტად ცუდი.
მიყვარხარ, ჩემო კომეტავ,
მაგრამ მძულს ეგ შენი კუდი.

* * *

პუშკინმა ერთხელ მიმართა მისი ლექსების ერთ გამომცემელს თხოვნით გამოეგზავნა მისთვის დაბეჭდილი ლექსების ჰონორარი.

გამომცემელი წერილობით შეეკითხა პუშკინს:

„როდის გნებავთ მიიღოთ ფული—ორშაბათს თუ სამშაბათს, და ყველა ორასი თუ ნახევარი?“

პოეტმა წერილზე მოკლე პასუხი მისწერა:

„ორშაბათს უმჯობესია, ვინაიდან სამშაბათზე აღრეა, ხოლო ორასი უკეთესია, რადგან ასზე მეტია“-ო.

* * *

პუშკინს დიდი სურვილი ჰქონდა პირადად გაცნობოდა პოლონეთის გამოჩენილ პოეტს მიცკევიჩს. მიცკევიჩიც თავისთავად ეძებდა ასეთ შემთხვევას, მაგრამ ისინი ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ.

ერთხელ ორივე მგოსანი მიპატიჟებული იყვნენ ერთ დიდ ოჯახში.

იყო ზაფხული. პუშკინი მისვლისთანავე მასპინძლის ბაღში ჩავიდა და სეირნობა დაიწყო. მიცკევიჩი წინათვე მოსულიყო და ერთ ქალთან იქვე სეირნობდა.

მოსეირნენი ერთმანეთს შეხვდნენ. მიახლოვებისას პუშკინმა ხუმრობით ჩაულაპარაკა:

— ტუზი მოდის, ჩამოდეკი!
ორიანო, აბა განი!

ამაზე მიცკევიჩმა ექსპრომტად უპასუხა:
— თუ კოზირის არის, ტუზსაც
დაამარცხებს ორიანი!

ამის შემდეგ მგოსნები ერთიმეორეს დაუახლოვდნენ.

* * *

სამხრეთ რუსეთში გადასახლებული პუშკინი (1824 წ.) ოდესის გენერალ-გუბერნატორ მ. ს. ვორონცოვის კანცელარიაში დანიშნეს ჩინოვნიკად. სამსახურში ნაძალადევად დანიშნული პუშკინი გულგრილად ეკიდებოდა თავის თანამდებობას და თითქმის არაფერს აკეთებდა.

ერთხელ ვორონცოვმა პუშკინი გაგზავნა მახლობელ რაიონში კალიების შემოსევის მდგომარეობის შესასწავლად და მოსთხოვა ამაზე წერილობითი მოხსენება წარედგინა.

პუშკინი გაემგზავრა დანიშნულ ადგილს, მაგრამ მოხსენებითი ბარათი არ წარუდგენია. მაშინ ვორონცოვს განმეორებით მოუთხოვია ასეთი. პუშკინმა არ იცოდა

თუ რა უნდა დაეწერა, მაგრამ უფროსის განკარგულება მაინც შეასრულა და ასეთი „მოხსენება“ მიაართვა:

„კალია მოფრინდა ყანაზე,
მოფრინდა და ისევ გაფრინდა...
მარჯვე ყოფილა ქამაზე,—
მაგრამ იქ ყოფნა მოსწყინდა,
აფრინდა...

და სადღაც შორს გადაფრინდა“.

ვორონცოვი ვერ შეეთვისა „თავხედ“ თანამშრომელს და ის მალე კიდევაც მოიშორა თავიდან.

* * *

ამ ვორონცოვზე სხვათაშორის პუშკინს აქვს ერთი ასეთი ეპიგრამა:

„უქკუოა სანახევროდ და ამდენად არამზადა,
სანახევროდ მილორდი და სანახევროდ უმსგავსური,
მაგრამ იმედს დიდს იძლევა,
რომ იქნება ბოლოს სრული“.



ა. თ. ლაბზინი

(1766—1825)

— რუსეთის მეფე ალექსანდრე I დროს სამხატვრო-საიმპერატორო აკადემიის წევრთა ერთი ჯგუფი დაჯინებით მოითხოვდა, რომ აკადემიის წევრად აერჩიათ იმპერატორის საყვარელი კაცი, „ყოვლადძლიერი“ მინისტრი არაკჩევევი.

არჩევა კიდევაც მოხდებოდა, რომ ამის წინააღმდეგ არ გაელაშქრა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე თედორეს-ძე ლაბზინს, რომელმაც კატეგორიულად უარყო ეს კანდიდატურა, ვინაიდან არაკჩევეს არავითარი ღვაწლი არ მიუძღოდა ხელოვნების წინაშე.

არაკჩევეს აკადემიის წევრად არჩევის მომხრენი მაინც თავისას მოითხოვდნენ და თავის აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ მინისტრი მეფის უახლოესი ადამიანიაო.

— ასეთ შემთხვევაში — წამოიძახა გაბრაზებულმა ლაბზინმა, მე მოვითხოვ აკადემიის წევრად ავირჩიოთ კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც მეფესთან უფრო ახლოა, ვინემ არაკჩევეიო.


— ვინ არის იგიო? ჰკითხეს ლაბზინს.

— მეეტლე ილია, — უპასუხა მან. — ის მეფის უახლოესი ადამიანია, საჯდომი ადგილიც მასზე წინა აქვს მიჩენილიო.

არჩევნები ამის შემდეგ აღარ შემდგარა.



ი. ა. კრილოვი
(1768—1844)



კრილოვი პეტერბურგში დაქირავებულ კერძო ბინაში ცხოვრობდა.

სახლის მეპატრონემ ერთხელ მას მოუტანა ვალდებულება ხელმოსაწერად, რომელშიც სხვათაშორის იყო ასეთი მუხლი:

„მე, ივანე ანდრიას-ძე კრილოვი, ვალდებული ვარ გავუფრთხილდე სახლს, განსაკუთრებით ცეცხლს. თუ ვინიცობაა ჩემი დაუდევრობით სახლს ცეცხლი გაუჩნდა—მე, კრილოვი, ვალდებული ვარ სახლის მეპატრონეს გადავუხადო სამოცი ათასი მანეთი—სახლის ღირებულება“.

კრილოვმა ვალდებულება ჩუმად გადაიკითხა, სიტყვები „სამოცი ათასი“ გადახაზა, ზედ წააწერა „სამი მილიონი“ და უსიტყვოდ მოაწერა ხელი.

— მიირთვით, უთხრა კრილოვმა,—მე ყველა მუხლზე თანახმა ვარ. ხოლო თქვენ რომ უფრო კმაყოფილი იყოთ, მე სამოცი ათასი მანეთის ნაცვლად ჩავსვი სამი მილიონი, თქვენთვის ამას მნიშვნელობა აქვს—ჩემთვის კი სულერთია.

— როგორ თუ სულერთი?—ჰკითხა გაკვირვებულმა სახლის მეპატრონემ.

— დიახ, სულერთი, უპასუხა კრილოვმა.—საქმე თუ გადახდაზე მიდგა, მე არამცთუ სამოცი ათასი მანეთი, —სამოცი მანეთის გადახდაც არ შემეძლიაო.



ნ ა პ ო ლ ე ო ნ I

(1768—1821)

— **ც**ნობილმა ფრანგმა მწერალმა ქალმა სტალმა ერთხელ ჰკითხა ნაპოლეონ I, თუ ვის სთვლის ის მსოფლიოში სასახელო ქალად, რომელმაც ყველაზე მეტი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას?

— **ა**ას, ვინც ყველაზე მეტი ბავშვები აღზარდაო, უპასუჯა ნაპოლეონმა.

* * *

ნაპოლეონი მეტად პატივმოყვარე ადამიანი იყო მაუამ ხანდისხან მაინც იტყოდა:

— ჩემი სახელი—ჩემი ჯარისკაცების სახელია: მე ვი მას ვპარაფო.

* * *

ერთხელ ნაპოლეონს მისმა აღიუტანტმა უჩვენა ერთერთი პოეტის იგაფ-არაკი, სადაც ავტორი სასტიკად ჰკიცხავდა იმპერატორს, თუმცა იგაფ-არაკში ნა-

პოლეონს ის პირადად არ ასახელებდა, არამედ ლაპარაკი ჰქონდა აქლემზე.

ნაპოლეონმა დაკვირვებით წაიკითხა ლექსი და ჰკითხა ადიუტანტს:

— თქვენ გინდათ, რომ ავტორი დაისაჯოს, არა?

— რასაკვირველია, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ადიუტანტმა, — ასეთი მეტიჩარა დაქსჯელი არ უნდა დარჩეს!

— მაშ პირველად მე თქვენ უნდა დაგსაჯოთ, ვინაიდან თქვენ პირველმა დაინახეთ ასეთი მსგავსება ჩემსა და აქლემს შორის!...

* * *

ერთხელ თავის თანამებრძოლებთან ერთად საურის დროს ნაპოლეონს გვერდით ამოუდგა ერთი მასზე მაღალი გენერალი, რომელმაც ხუმრობით შენიშნა ნაპოლეონს:

— თქვენო უდიდებულესობავ, მე თქვენზე მაღალ ვყოფილვარ!

— ცდებით, უპასუხა ნაპოლეონმა, თქვენ ჩემზე მაღალი კი არა — უგრძესი ხართ!

* * *

ნაპოლეონს სასტიკად ეჯავრებოდა, როდესაც უმეცარი ან საქმის ვითარების არა მცოდნე ადამიანი კამათში გაეჩრებოდა და თავის შეხედულებების დაცვას დაიწყებდა.

ამაზე ის იტყოდა:

— დიდი აზრები ყოველთვის კარგია, მაგრამ იმაზე უბედურება არაფერია, როდესაც ეს დიდი აზრი პატარა ტვინის კაცის გოგრაში მოექცევაო.

* * *

საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა იყო.

თავმჯომარე ქოფრუა სენტ-ილერმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა აკადემიის წევრ ამპერს.

ამპერმა კათედრა დაიკავა.

ამდროს დარბაზში შემოვიდა კაცი ნაცრისფერ თრაკში „საპატიო ლეგიონის“ ორდენით გულზე. დაინახა რა თავისუფალი ადგილი, რომელზედაც ამპერი იჯდა — დაიკავა ის.

ამპერი კითხვას განაგრძობდა და არაფერი შეუმჩნევია. ხოლო, როდესაც სიტყვა დაამთვრა, ჩამოვიდა

კათედრიდან და თავის ადგილისაკენ წავიდა. ადგილი დაკავებული აღმოჩნდა მისთვის უცნობი პირის მიერ. ამპერმა უხერხულობა იგრძნო, ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ მიმართა ჟოფრუა სენტ-ილერს:

— ბ-ნო თავმჯდომარე, უნდა მოგახსენოთ, რომ აკადემიისათვის ვილაც უცხო პირს ჩემი ადგილი დაუკავებია.

— თქვენ ცდებით, მეგობარო, ის, ვინც თქვენ სახეში გყავთ, არის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, — უპასუხა უცნობმა.

— რა დროიდან? — ჰკითხა ამპერმა.

— მე-VI წლის 5 ნივთიდან.

— რა დარგში? — ირონიულად შენიშნა ამპერმა.

— მექანიკის! — მიუგო მან.

— ეს კი ნამეტანია! წამოიძახა ამპერმა, აიღო აკადემიის წლიური ანგარიშები და ნაჩვენები თარიღის ქვეშ წაიკითხა:

„ნაპოლეონ ბონაპარტი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, არჩეულია მე-VI წლის 5 ნივთას, მექანიკის დარგში“.

ამპერმა ვერ იცნო იმპერატორი. მან ბოდიშის მოხდა დაიწყო:

— აი, ხომ ხედავთ, ბ-ნო! რა უხერხულობა გამოდის, როდესაც არ ესწრებით სხდომებს. მე თქვენ

არასდროს არ მინახავხართ ტუილრში, მაგრამ უნდა მობრძანდეთ კი, თუგინდ იმისათვის, რომ გვითხრათ „გამარჯობა“.

ნაპოლეონი სხდომის დამთავრებამდე დარჩა. წასვლის წინ მიმართა ამპერს:

— ჩემო კოლეგავ, გიცდით ხვალ სადილად 7 საათისათვის. მე თქვენ დაგაჯენთ დედოფლის გვერდით, მაგრამ სხვად არ მიიღოთ კი!


მეორე დღეს ნაპოლეონმა სადილზე ტყუილად იცადა, ამპერს მისვლა დაავიწყდა.

გ.უ. ხსვიძე



ლიუდოვიკო XVI

(1754—1793)



საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკო XVI, რომელიც სიკვდილით დასჯილ იქნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, რიცხვს 21-ს სთვლიდა თავის საბედისწერო რიცხვად.

1770 წლის 21 აპრილს ის დაქორწილდა.

1770 წლის 21 ივნისს მოხდა პირველი სახალხო გამოსვლები პარიზში და მან თავს გაქცევით უშველა.

1781 წლის 21 იანვარს დაებადა პირველი ვაჟი.


1791 წლის 21 ივნისს სატახტო ქალაქიდან ის იძულებული იყო გაქცეულიყო ქ. ვარენაში.

1793 წლის 21 იანვარს ის სიკვდილით დასაჯეს ემაფოტზე, რაზედაც მას განაჩენი გამოუტანა „ოცდაერთის კომისიამ“ (ასე ეწოდებოდა რევოლუციურ ტრიბუნალს, რომელშიაც შედიოდა 21 წევრი).



ფ რ ი დ რ ი ხ ❧ ❧

(1712 - 1786)



გერმანიის მეფე ფრიდრიხ მეორე ძუნწი ადამიანი იყო და ყოველგვარ ზედმეტ ხარჯებს მეტად უფრთხილდებოდა. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად ერთხელ მაინც დიდ ნადიმს მართავდა, სადაც იწვევდა ყველა დიდ გენერალს და სასახლის კაცებს. სტუმრები მუდამ ერთდღაიგივენი იყვნენ. სუფრის ყველა წევრს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, ყველას ერთგვარ კერძს ურიგებდნენ, ღვინოც ერთნაირ ჭურჭლებში გამოჰქონდათ, მხოლოდ ფრიდრიხისათვის ამ ჭურჭელში სხვა ღვინო მოჰქონდათ, უკეთესი, ვინემ სხვისთვის. ეს შეამჩნია ერთმა დაახლოვებულმა გენერალმა და ჩუმად ბოთლი შეუცვალა. ფრიდრიხი გენერლის ოინს მიხვდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მეორედ, როდესაც მისთვის ღვინო გამოჰქონდათ, მან გაათრთხილა მოსამსახურე მისთვის ბოთლში ჩაესხა ძალზე ცუდი ღვინო და დაედგა მის წინ. ამის შემდეგ მეფემ სუფრას განგებ თვალი აარიდა.

გენერალმა წინანდებურად შეცვალა ბოთლი.

ფრიდრიხმა აიღო თასი, აავსო ღვინით, უბრძანა სხვებსაც შეევსო და წარმოსთქვა პრუსიის არმიის

სადღეგრძელო, ამასთანავე ყველა გააფრთხილა თასები მთლიანად დაეცალათ, განსაკუთრებით კი მიაჩერდა გენერალს.

გენერალმა, როგორც კი აიღო თასი, შეამჩნია, რომ ღვინის ნაცვლად რაღაც საშინელებას სვამდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თასი დაცალა.

როდესაც შესვა, ფრიდრიხმა ჰკითხა:

— გენერალო, როგორია ღვინო?

— მშვენიერი, დიდო შეფევე, — საინტერესოა, საიდან მოგაქვთ ასეთი ღვინო? — ბრაზისაგან თავს იკავებდა გენერალი.

— საკუთარი ზვარიდანაა, — უპასუხა შეფემ.

გენერალმა განიზრახა სამაგიერო გადაეხადა.

მან იცოდა, რომ შეფეს უყვარდა თუთუნის ყნოსვა, და ვისაც დაუნახავდა სათუთუნეს — ართმევდა საყნოსად.

ერთხელ გენერალმა, მეფესთან გამოცხადების წინ, აიღო ცხვირის დამაცემინებელი ფხვნილი და მოაყარა თუთუნს. შემდეგ მივიდა მეფესთან და დარბაისლურად ამოიღო სათუთუნე, ვითომდა საყნოსად.

მეფემ რომ სათუთუნე დაინახა, ჩამოართვა და მთელი შესუნთქვით უყნოსა თუთუნს.

მეფეს ცხვირი საშინელი ფხვნილით აევისო და ძლიერი ცხვირისცემინება დააწყებინა.

— ეს რა საშინელებაა, — ჰკითხა გაბრაზებულმა მეფემ. — საიდან მოგაქვს ასეთი ნაგავი?

— საკუთარი პლანტაციიდანაა, მეფე! ეს სათუთუნე თქვენი ზვარის გვერდითა მაქვს გაშენებული!

ფრიდრიხს სამაგიერო აღარაფერი უთქვამს.

*
*
*

ფრიდრიხს მეორე სამეფო გვარდიაში შემსვლელ თითოეულ ჯარისკაცს (გვარდიელებს ჯარისკაცებიდან აგროვებდნენ) წინდაწინვე იბარებდა დაკითხვაზე და ყველას ერთნაირ კითხვებს აძლევდა:

რამდენი წლის ხართ?

რამდენი წლის ნამსახური ხართ ჯარში?

ლებულობთ თუ არა თავის დროზე ჯამაგირსა და ტანსაცმელს?

გვარდიაში, ჯარისკაცთა სიმცირის გამო, ხშირად უცხოელებსაც ლებულობდნენ.

ერთხელ გვარდიაში შესასვლელად გამოცხადდა ვილაც ახალგაზრდა ფრანგი, რომელმაც არც ერთი გერმანული სიტყვა არ იცოდა. გვარდიის შტაბში ფრანგს სახელდახელოდ შეასწავლეს პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვეულებრივი თანმიმდევრობით უნდა დაესვა ფრიდრიხს, რის შემდეგ ის მეფეს წარუდგინეს.

ფრიდრიხმა რატომღაც შეკითხვა მეორე კითხვიდან დაიწყო:

— რამდენი წლის ნამსახური ხართ ჯარში? — ჰკითხა მან.

— ოცდაერთის!—უპასუხა ფრანგმა.

ფრიდრიხმა გაკვირვებით შეხედა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯარისკაცს და ჰკითხა:

— კი მაგრამ, რამდენი წლისა ხართ?


— ერთის!—მტკიცედ უპასუხა ფრანგმა.

— შენ ჰკუაზე ხომ არ შეიშალე?

— თავის დროზე!—ამაყად დასძინა ფრანგმა, რომელსაც ეგონა, რომ დაკითხვა ჩინებულად ჩატარდა.



ჩულალანგკორნი



სიამის მეფე, რომლის ნამდვილი სახელი იყო სომდეჩ-ნრა-პარამინდარ-მაგა-ჩულალანგკორნი (გარდაიცვალა 1910 წელს), ცნობილი იყო მრავალი უცნაურობით.

სხვათაშორის მის დროს ვირი გამოცხადებულ იქნა მეორე საღვთო ცხოველად, თეთრი სპილოს შემდეგ.

მოხდა ეს შემდეგნაირად:

ერთხელ მეფის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება. ერთი შეთქმულთაგანი შეიპარა მეფის საწოლ ოთახში და ამოწვდილი ხანჯლით უნდოდა გაეგმირა მშვიდად მძინარი მეფე. ამდროს საღვთო ვირმა დაიყოყმანა და ჩულალანგკორნს გამოეღვიძა. მკვლელი დაფრთხა, მეფემ ყვირილი მორთო, შემოცვივდნენ მცველები და მეფე სიკვდილს გადაარჩინეს.

ამ შემთხვევისა გამო მეფემ ბრძანა, რომ სიამში ვირები გაეთავისუფლებიათ ყოველგვარი მუშაობიდან და საღვთო ცხოველად გამოეცხადებიათ.

ინგლისის გენერალი კერსტენი, რომელმაც ინახულა სიამის მეფე, როგორც განსაკუთრებულმა ელჩმა, ასე მოგვითხრობს მეფესთან მისი შეხვედრის ამბავს.

კარის ობერ-ცერემონიამისტერს მეფისთვის ის ასე წარედგინა:

— ყოვლად ძლიერო სომდეჩ-ნრა-პარამინდარ-მაგაჩულაანგკორნ, მბრძანებელო ქვეყნისაჲ, მეფეჲ თეთრ სპილოებისაჲ, შეთვალყურეჲ სამართლისა და შემნახველო საღვთო წესების—მობრძანდა ელჩი თეთრი ინგლისისა და შავი ინდოეთის მბრძანებლის, ყოვლად პატიოსანი ვირი და სურს თქვენი ნახვაო.


გენერალს ეთქვა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მას პირში უწოდეს ვირი.





3. ი. ბაგრატიონი

(1762—1812)



3. ი. ბაგრატიონი 1812 წელს ბოროდინოს ველზე დასავლეთის ფრონტის მეორე არმიას სარდლობდა.

რუსეთის არმიის სმოლენსკისკენ დახევის დროს ბაგრატიონთან მივიდა ერთი პარტიზანელთაგანი დენის დავიდოვი და გენერალს მოახსენა:

— მთავარსარდალმა მიბრძანა მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეებას, რომ მტერი ჩვენი ცხვირის წინააო.

ბაგრატიონი, რომელიც ამ დროს საუზმობდა, მშვიდად შეეკითხა პარტიზანელს:

— ვისი ცხვირის წინ? თუ შენი—საშიშია, მაგრამ თუ ჩემი—სანამ ისინი მოალწევდნენ, ჩვენ სადილსაც მოვასწრებთო.

უნდა დავსძინოთ, რომ დავიდოვს მეტად დაბალი ცხვირი ჰქონდა, ხოლო ბაგრატიონს—ზომაზე მაღალი.

ზ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე

სახელგანთქმული სარდალი გიორგი სააკაძე საქართველოდან ლტოლვილი ირანის მეფე შაჰ-აბაზის კარზე აფარებდა თავს.

შაჰი დიდად აფასებდა გიორგის და პატივისცემით ეპყრობოდა მას.

ერთ დღეს, როდესაც შაჰი თავის სასახლეში იმყოფებოდა, იხმო გიორგი.

— გიორგი, ჰკითხა შაჰმა, თქვენ გამოცდილი მეომარი ხართ, რომელი იარაღი ჯობს ყველას ომში სახმარადო.

— დიღო შაჰო, უპასუხა გიორგიმ, მეომარი უნდა ვარგოდეს, თორემ თავის დროზე ყველა იარაღი კარგიაო.

ეს პასუხი არც ისე მოეწონა შაჰს და მოინდომა მისი გამოცდა.

თვით სააკაძე, გარდა ერთი პატარა ხანჯლისა, არავითარ იარაღს არ ატარებდა.

ერთ დილას, როდესაც გიორგი სასახლის ბაღში სასეირნოდ გამოვიდა, შაჰმა ბრძანა ხეივნის მეორე ბო-

ლოდან ორი ლომი გამოეშვათ, თვითონ სარკმლიდან აღდგნებდა თვალს.

გიორგიმ რომ მისკენ მომავალი ორი ლომი დაინახა, მიხვდა, რომ ეს შაჰის მოწყობილი იყო, მაგრამ არ დაიბნა და გზისთვის არ გადაუხვევია.

კაცის დანახვისთანავე ერთი ლომი პირდაპირ გიორგისაკენ გადმოხტა. სააკაძემ უცბათ მოიძრო ქუდი და პირდაღებულ ლომს შიგ ხახაში შესჩარა, სწრაფად იძრო ხანჯალი და მეორეს, რომელიც უკვე უნდა დასტაკებოდა მას—შიგ გულში ჩასცა. სანამ პირველი ლომი პირიდან ქუდს გადმოაგდებდა, მოუბრუნდა და ისიც განგმირა. შემდეგ აუჩქარებლად შეახოცა მკედარ ლომს სისხლით დასერილი ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და განაგრძო სეირნობა.


შაჰი განცვიფრებული უმზერდა ამას.





შ. რუსთაველი

(თქმულებები)



თამარ მეფის დროს რაჭაში ცხოვრობდა დიდი თავადი კახაბერ ერისთავი, რომელსაც ყავდა სიტურ-ფით განთქმული ასული მშვენიერი მზია.

ერისთავის ქალიშვილს შეყვარებოდა სასახლის აზნაური, ახოვანი ქაბუკი დათუნა გოცირიძე.

კახაბერს რომ ეს გაეგო—მეტად გაბრაზებულიყო და სასტიკად გაეკიცხა თავისი ქალიშვილი.

შემთხვევით თამარ მეფეს კარის მგოსნების თან-ლებით გაეგლო რაჭაში და ხლებოდა კახაბერ ერისთავს. თავადის ქალიშვილისა და აზნაური გოცირიძის სიყვარული თამარს წინათვე გაეგო.

ერისთავს დიდის პატივისცემით მიეღო თამარ მეფე მისი ამალით და დიდი სუფრა გაეშალა. სუფრას ერისთავის ასული მზია და აზნაური გოცირიძე თავს დას-ტრიალებდნენ თურმე. ქალ-ვაჟი თამარს მეტად მოს-წონებოდა, მოეხმო ერისთავი და ეთქვა:

— ძალიან მომწონს შენი ქალიშვილისა და გოცი-რიძის სამსახური, ურიგო არ იქნება, რომ ისინი შეუღლ-დებოდნენო.

ერისთავს ეს მეტად წყენოდა, მაგრამ მეფისათვის

სიტყვის შებრუნება ვერ გაებედნა. თამარს შეემჩნია ეს და ებრძანა თავის მგოსნებისათვის:

— ჩემო ქებულნო რიტორნო და ფილოსოფოსნო! გვამცნევით აქ შეკრებილთ, რა უფრო ღირებულია ამ ქვეყნად: დიდი გვარი, სიმდიდრე, უამრავი ყმა და მამული, თუ პირადი ღირსება, ზრდილობა, ცოდნა, სიმამაცე და სხვა სათნოებანი?

მაშინ წამომდგარა მხცოვანი მგოსანი სარგის თმოგველი და ასე მოუხსენებია:

— „ვით მზე დიადი აფრქვევს მიწას
შუქსა და სითბოს,
ესოდენ გვარი, დიდი გვარი
ჰფენს ყველას სიტკბოს.
უგვარო კაცი არის ჭია,
მწერი მცოცავი,
ფრთებდაგლეჯილი, სხვისი მონა
და საცოდავი,
რაგინდ ღირსებით იყოს იგი
შემკულ—მოსავი...
დიდგვარიანი შუქმფენია,
ვით მზე ბრწყინავი,
იგი ლომია, უგვარო კი—
მატლი მფორთხავი“...

სხვა მგოსნებსაც ასეთივე აზრი გამოეთქვათ.

ბოლოს თამარს ებრძანებია შოთასთვის:
— შენ რაღას იტყვი, დიდო მგოსანო?

შოთას დინჯად მოეხსენებია:

— „ფილოსოფოსნი შემოკრბენ,
ამაზედ ჰქონდათ ცილობა;
პატრონი ყმასა ასაქმებს
და ჭკუას გამოცდილობა...
ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,—
თუ კაცი თავად არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა“...

თამარს მეტად მოსწონებოდა ეს აზრი, მაგრამ ერის-
თავი ნაწყენი დარჩენილიყო.

მაშინ თამარს მოეხმო თავისი მდივანი და ებრძა-
ნებია დაეწერა ბოძების ქალაღი გოცირიძისათვის,
რომ ის დღეის რიცხვიდან თავადიშვილია და ქსნის
ხეობის ერისთავი.

ამის შემდეგ ერისთავის ასული მზია და უკვე თავ-
ვადი გოცირიძე შეუღლებულან და კახაბერიც კმაყო-
ფილი დარჩენილა.

* * *

ერთხელ დიდი ასპარეზობა ჰქონოდათ გამართული.
ასპარეზობას დასწრებიან თამარ მეფე, მთელი სა-

მეფო ამაღლა, კარის კაცები და მგოსნები, მათ შორის სახელგანთქმული შოთა რუსთაველიც.

დიდი ასპარეზობა - მშვილდოსნობის შემდეგ ერთ დიდებულთაგანს თამარ მეფის თავზე ვაშლი დაედო და მოასპარეზებისათვის გამოეცხადებია:

— აბა მშვილდოსანიც ის იქნება, ვინც ამ ვაშლს ისრით აიღებსო.

მშვილდოსნები შემდრკალან და უკან დაუხვევიათ.

სახელგანთქმული რუსთაველი წინ წამდგარა, ყველას სუნთქვა შეჰკროდა.

რუსთაველი ნელი ნაბიჯით მისულა თამარ მეფესთან, მარცხენა ხელით დაუმაგრებია ვაშლი, მარჯვენათი ისარზე წამოეგო და მალლა აეწია.

მაყურებლებში ჩოჩქოლი შექნილა.

რუსთაველს განუმარტავს:


— თამაშის პირობაში მანძილი ხომ არ ყოფილა დათქმული, ხოლო ისრით ვაშლის აღება ხომ შეეძელ და შეფესაც არა ვაგნე რაო.

ყველა კმაყოფილი დარჩენილიყო მგოსნის გამკრიახობით.



ნიკ. ბარათაშვილი

(1816—1845)



ცნობილ ქართველ მოღვაწეს პლატონ იოსელიანს მისი თანამედროვეები პატივისცემით ეპყრობოდნენ, მაგრამ მისი ახირებულობისა გამო ზოგჯერ მწარე სიტყვებსაც ჰკადრებდნენ ღვთისმეტყველს (პლ. იოსელიანს ასეთი ხარისხი ჰქონდა).

ერთ საზოგადოებაში, სადაც პლ. იოსელიანიც იყო, ნიკ. ბარათაშვილისათვის ეკითხა ერთ მის მეგობარს:


— ე, ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონსა ჰკითხეთ, ის არის ბოლოსლოვი^{*)}, — ეთქვა ნ. ბარათაშვილს და ხელი პლ. იოსელიანისაკენ მიეწვირა.

^{*)} ბოლოსლოვი ქართულად არის ღვთისმეტყველი, ზმით გამოდის „ვირების ღმერთი“.

გიორგი მრისთავი

(1811—1864)



1828 წელს რუსეთის გამოჩენილი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი დაქორწილდა პოეტი ალექსანდრე ჰავ-
ჭავაძის ქალიშვილ ნინოზე.

მაშინდელმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა მეფე-
დედოფალს სასახლეში მეჯლისი გადაუხადა. მიწვეულ-
თა შორის იყო გიორგი ერისთავიც, რომელიც ჩოხა-
ახალოხში გამოწყობილი მოვიდა მეჯლისზე. როცა მან
სასახლის კიბეზე შესდგა ფეხი, პოლიციის მოხელემ,
რომელიც იქვე იდგა, სტაცა ხელი ჩოხის კალთაში და
ქართულ ტანსაცმელში შესვლის ნება არ მისცა.

გულამღვრეული გიორგი გამობრუნდა შინ.

როდესაც სტუმრებმა თავი მოიყარეს, შეამჩნიეს,
რომ გიორგი არ იყო, გაიგეს საქმის ვითარება და
მყისვე გაგზავნეს რწმუნებულები გიორგის მოსაყვანად.

რწმუნებულები მივიდნენ გიორგისთან, ჯერ ბო-
ლიში მოიხადეს და შემდეგ სთხოვეს მოსულიყო მეჯ-
ლისზე.




გიორგიმ ცივად უპასუხა:
— სადაც ქართული ჩოხა აკრძალულია, იქ ერის-
თავიც არაფერი საჭიროაო*).

და შებრუნდა სახლში.
გაწბილებული რწმუნებულები ხელცარიელი დაბ-
რუნდნენ უკან.

*) ზემოთმოყვანილი შემთხვევა აღწერილი აქვს პროფ. აღ.
ზახანაშვილს თავის „ქართ. სიტყვ. ისტორიაში“—ტ. II გვ. 49.
ხოლო იქ გიორგის პასუხი არაა მოცემული. ეს უკანასკნელი გა-
ნაგონი ჩავწერე.

ილია ჭავჭავაძე (1837—1907)



ილიას დედა სომხის ქალი იყო.

ერთ სომეხ სოფდაგარს ეთქვა ილიასათვის:

— ილია, შენ იმიტომ ხარ ჭკუიანი, რომ დედა სომეხი გყოლიაო.

— შენ ხომ დედაც სომეხი გყავს და მამაც, მაშ შენ ჩემზე უფრო მეტად ჭკუიანი უნდა იყოო, — მიუგო ილიამ.

* * *

ილია აკაკი წერეთელს ყოველთვის პატივისცემითა და ქებით იხსენიებდა, მაშინ როდესაც აკაკი არაიშვიათად იტყოდა მასზე ძვირს.

— ილია, — უთხრა ერთხელ მას ერთმა მისმა მეგობარმა, — თქვენ რომ აკაკის ყოველთვის აქებთ და პატივისცემით იხსენიებთ, ხომ იცით, რომ ის თქვენს ძვირს ლაპარაკობს და თქვენს მოღვაწეობასაც არ აფასებსო?

— შეიძლება ამ შემთხვევაში ჩვენ ორივე ვცდებოდეთო, — მოსწრებულად უპასუხა ილიამ.

* * *

საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე არტილერიის გენერალმა ხიმშიევმა ილაპარაკა ილიას წინააღმდეგ. სხვათაშორის მან სთქვა:

— თავ. ჭავჭავაძის მხრივ აქ — კრებაზე ადგილი აქვს ზემოქმედებასო.

ილიამ უპასუხა:

— მე მინდოდა გამეგო, რომელ ზემოქმედებაზე ბრძანებს თავ. ხიმშიევი. თუ ის ლაპარაკობს ლოლიკის ზემოქმედებაზე, დე, ეს იყოს ჩემგან! ნება მომეცით განვაცხადო, რომ ასეთი ზემოქმედების წინააღმდეგ ყოველგვარი მძიმე არტილერია უძლური იქნებოდაო.

* * *

ერთხელ ექვთიმე ხელაძეს ეთქვა ილიასათვის:

— ბ-ნო ილია, შეარიგეთ ანტონ ფურცელაძე და ნიკო დიასამიძე!

— მე რა ვარო, — ეთქვა ილიას.

— საქართველოს მამა ხართ...

—მე საკუთარი შვილი ვერ გამიჩენია და საქართვე-
ლოს მამობა როგორ უნდა გავუწიო.

*
* *

ერთ ზაფხულს ნიკო ნიკოლაძემ ილიას ორაზრო-
ვანი წერილი მისწერა:

„ილია, წელს ზაფხულს რომელ აგარაკს აირჩევთ
დასასვენებლად: ბორჯომი ილი კოჯორი?“


ილიამ ასევე ზმით უპასუხა:

„ნი ბორჯომი—ნი კოჯორი!“



აკაკი წერეთელი

(1840—1915)



ერთ ოჯახში აკაკის საპატივცემოდ საღამო იყო გამართული.

სახელგანთქმულ პოეტს ირგვლივ ახალგაზრდები შემოსხდომოდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ლაპარაკი სიყვარულზე ჰქონდათ.

— ახალგაზრდა ქალისათვის სიყვარული ისე აუცილებელია, როგორც წყალი თევზისათვისო,—ჩაუერთო ლაპარაკში აკაკიმ.

ერთმა ქალიშვილმა ამაზე აკაკის შენიშნა:

— ბ-ნო აკაკი, შე არ ვგრძნობ ამ აუცილებლობას და უსიყვარულოდაც კარგადა ვარო.

— შე ცოცხალ თევზებზე მოგახსენებთ და არა ტარანზეო,—სიტყვამოსწრებულად უპასუხა პოეტმა.

*
* *

1905 წლის რევოლუციის პერიოდი იყო.

აკაკი რკინისგზის სადგურის სასადილო დარბაზში იჯდა და საუბრობდა.

ამ დროს დარბაზში გუბერნატორი შემოვიდა, ყვე-

ლანი ფეხზე წამოდგნენ, მხოლოდ აკაკი არ ამდგარა და საუზმობას განაგრძობდა.

გუბერნატორმა ეს შენიშნა, წარბები შეიკრა და გაბრაზებული წავიდა ბუფეტისაკენ, აიღო ნამცხვრები და უგულოდ წიწკნა დაუწყო. შემდეგ გამობრუნდა, აკაკის პირდაპირ გაჩერდა და ხმამაღლა თქვა:

— რა განსხვავებაა, ნეტავი, პირუტყვებსა და ადამიანებს შორის?

აკაკი მიხვდა თუ ვის შეეხებოდა ეს ლაპარაკი და მოურიდებლად უპასუხა:

— ადამიანი დამჯდარი კამს, ხოლო პირუტყვი ფეხზე მდგარიო.

პასუხი გუბერნატორისათვის ისე, მოულოდნელი და მოსწრებული იყო, რომ მან სიტყვა ვერ შეუბრუნა და „აბეზარ“ მოპასუხეს მისივე მოშორდა.

* * *

ა-ძე განთქმული მონადირე იყო.

იგი ერთხელ აკაკის ესაუბრებოდა და სხვათა შორის თავის ახალგაწვრთნილ მეძებარს აქებდა:

— ისეთი მეძებარი მყავს, ისეთი, რომ... სულ შუბლში შემომცქრისო.

— რა კარგ სამწყერო ადგილისათვის მიუგნია იმ დალოცვილსო, — ეთქვა აკაკის.

*
* *

სასადილოში ერთმა ვეჭილმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცილა. გულმოსულმა წამოიძახა:

— არ გიკვირთ, რომ ამ ძეხვს კანი არასძვრება?..

— ეგ არ მიკვირს,—უთხრა იქვე მეორე მაგიდასთან მჯდომმა აკაკიმ,—მაგრამ ის კი გასაკვირალია, ვეჭილი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.



ვაჟა-ფშაველა

(1861—1915)

ჩვენი სახელოვანი პოეტი ვაჟა-ფშაველა ერთხანს სოფლის მასწავლებლად მსახურობდა. ის მკაცრი დისციპლინის პედაგოგი იყო.

1886 წელს ის დანიშნული იყო სოფ. დიდთონეთში სოფლის სკოლის მასწავლებლად.

მის სკოლაში სწავლობდა ადგილობრივი მამასახლისის შავშიშვილის შვილი. ერთხელ ამ ბავშვს სცემა სკოლის ამხანაგმა ლონდარიძემ. მეორე დღეს დილით, სწავლის დაწყებამდის, მამასახლისი მისულიყო სკოლაში, გამოეხმო ლონდარიძე და ეცემა. ამ დროს ვაჟა თავის ოთახში (სკოლის შენობაში) ყოფილიყო. სკოლის დარაჯს ეს ამბავი ვაჟასთვის ეცნობებია. ვაჟა იმწამსვე გამოსულა აივანზე და იქ მდგარ მამასახლისისათვის კარგა მაგრა უთავაზებია, შემდეგ უტაცნია ხელი და აივნიდან ძირს გადაუგდია, თანაც უთქვამს: „წადი ახლა და ნაჩაღნიკთან მიჩივლე“-ო.

როცა მამასახლისი უსიტყვოდ გაბრუნებულა, ვაჟას მიეძახნა:—შვილი სკოლაში გამოგზავნე, თორემ უარეს დღეს დაგაყენებო.

მეორე დღეს მამასახლისს სკოლის მახლობლად



გაველო, დაენახა ვაჟა და აღმაცერად დაეწყო ყუ-
რება.

ვაჟას ექსპრომტად შემდეგი ლექსი ეთქვა:

— რას მიმზერ მამასახლისო,
გული რად გიძგერს დიდია,
მიტომ თუ მედიდურები,
ყელზე რო ჯაჭვი *) გკიდია.
სახლიც რკინითა სავსე მაქ,
ძალღებიც ჯაჭვით მიბია,
ერთს კიდევ გამოგიგზავნი,
რომელიც უფრო დიდია.
შე რო მე კაცად არ მხედავ,
მეც ხათრი ფეხზე მკიდია.

მამასახლისს ხმა აღარ ამოუღო და უსიტყვოდ მო-
შორებოდა ვაჟას.

* * *

თბილისში ყოფნის დროს, ერთხელ ვაჟა საპარიკ-
მახეროში შესულიყო (მუდმივად ის ფშავეთში ცხოვ-
რობდა). თმის გაკრეკის შემდეგ პარიკმახერისათვის
შაური შეეძლია.

*) მამასახლისი თანამდებობის ნიშნად გულზე თითფრის
მოზრდილ ძეწვეს ატარებდა.

— ვა, შაურს რომ მაძლევ, სემიჩკა ხომ არ მომიყიდნია შენთვისო,—უთქვამს პარიკმახერს.

— შენ რომ იცოდდე, რა თავი გაკრიჭე, მაგასაც არ გამომართმევდიო,—უთქვამს ვაქას.

*
* *

თიანეთში ჩამოსული ვაქა ერთხელ მ. შამანაურს სახლში სტუმრად წაეყვანა. ცოლი წინდაწინვე გაერთხილებია, რომ სტუმრად ვაქა ეყოლებოდა.

გაცნობისთანავე შამანაურის ცოლს ეთქვა:

— როგორ მენატრებოდა თქვენი გაცნობა და დღეს დიდად მოხარული და ბედნიერი ვარო.

ვაქას ეპასუხნა:

— ჩემო რძალო, შენც ხომ ისე არ მოვივიდა, როგორც ერთ ხევსურს მეფე ერეკლეს გაცნობის დროს მოსვლია:

„ერთ ხევსურს მეფე ერეკლე არ ენახა, ხოლო მეფის სახელით კი მოხიბლული იყო და გადასწყვიტა მეფის პირადად ნახვა.

მეფეს ერთხელ ჟინვანში მთიელთა ყრილობა მოეწვია. ამ ხევსურმა ისარგებლა შემთხვევით და ყრილობაზე მოვიდა. იკითხა მეფე ერეკლე, უთხრეს ის არისო. ხევსური მეფეს ხან წინიდან მოუბრუნდა, ხან უკანიდან, ხან გვერდიდან—უყურებს და სინჯავს. ეს მე-

ფეს შეუმჩნეველი არ დარჩა და ხევსურს ჰკითხა:—რას არის ხევსურო, რას მიყურებ, რას მსინჯავო?

— შენ ხარ მეფე ერეკლეო?

— დიახ, მე გახლავარ, არ მოგწონვარო?

ხევსურს თავი გაექნია და ეთქვა:—მეფევ, შენს ნახვას შენი სახელი სჯობნებიაო“.

ძალუა ჩემო, ვინ იცის, ფიქრობდი, ვაჟას ვნახავ, მდიდრულად, ევროპულად იქნება გამოწყობილი, მე კი უბრალო კაცი, უბრალო ფშაველი ვარ, იქნებ ჩემ ნახვასაც ჩემი სახელი სჯობდაო.

* * *

1900 წელს ვაჟას ბიძა მოუკვდა.

ქრისტიანული წესით დიაკვანს მიცვალებულისათვის დავითნი უნდა წაეკითხნა. ჩარგლის დიაკვანი შინ არ ყოფილიყო. კაცი ვაჟას მამისთვის გაეგზავნათ, მაგრამ არც ის დახვედროდათ სახლში. მიცვალებულთან ვაჟას ძმა კოლა გაეგზავნათ.

მოხუცებულ მიცვალებულთან ფშაველებმა სახლში ჯდომა არ იციან, გამოდიან გარეთ ან დერეფანში, იქ საუბრობენ და არაყს შეეპქევიან.

გაზაფხულის დამე ყოფილიყო.

კოლა მარტოკა მჯდარა მიცვალებულთან დავითნის საკითხავად. ვაჟას ეფიქრა:—ერთი იმ ბაღთან შევი-

დე, მიცვალებულთან მარტოკაა, არ შეშინდესო და ფეხაკრეფით შესულა ოთახში. კოლას მისი შესვლა ვერ გაეგო და დიაკვნის კილოთი კითხვას განაგრძობდა. ვაჟას დაეგდო ყური, თურმე კოლას დავითნი ტყუილად ჰქონდა გადაშლილი, შიგ ყასიდად იყურებოდა და მიცვალებულს ვაჟას პოემა „გოგოთურ და აფშინას“ უკითხავდა ზეპირად.

ვაჟა წყნარად მისულა კოლასთან, დაუკრავს მხარზე ხელი და უთქვამს:

— ყოჩაღ, ჩემო მოურავო, ეგ წაუკითხე ჩემს მკედარს, ეგ უფრო მოუვა, ვიდრე მღვდლების „ვითარცაო“.



მოლა ნასრედინი

ერთხელ მოლამ მეზობელს სპილენძის ქვაბი სთხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ მოლამ მეზობელს მისი ქვაბი დაუბრუნა და სართად ერთი პატარა ქვაბიც გააყოლა.

— ეს რა არის? — ჰკითხა გაკვირვებულმა მეზობელმა.

— რა და ისა, რომ შენი ქვაბი ორსული ყოფილა და ეს პატარა ქვაბი მოიგოო, — უპასუხა მოლამ.

ქვაბის პატრონს ეამა პატარა ქვაბის ასე მუქთად შოვნა, გაჩუმდა და თითქოს დაიჯერა მოლას ნაამბობი.

გავიდა რამდენიმე ხანი. მოლამ ახლა მეორე, უფრო დიდი ქვაბი სთხოვა მეზობელს. მანაც სიამოვნებით ათხოვა. მეზობელმა უცადა ორ დღეს, სამ დღეს, მაგრამ მოლა ქვაბს არ უბრუნებდა. ლოდინით მოთმინებიდან გამოსული მეზობელი მიადგა მოლას და უთხრა: — ჩემი ქვაბი დამიბრუნეო.

— შენმა ქვაბმა შენი კირი წაიღოო, — უპასუხა მოლამ.

— რას ამბობ, კაცო, ქვაბს რა მოკლავდაო! — უთხრა მეზობელმა.

— შე კაი კაცო, თუ კი ის ადვილად დაიჯერე, რომ ქვაბი შვილს მოიგებდა, იმას რაღად არ იჯერებ, რომ ქვაბი შეიძლება მომკვდარიყო კიდევაცო!... მერე, ისიც მშობიარობას გადაჰყვა საწყალიო.

*
* * *

ერთხელ მოლა პატარა ლელეს მიადგა. ჯერ უკან დაიწია და მერე ისკუბა გადასახტომად, მაგრამ შიგ წყალში ტყაპანი მოაყენა.

— პაი, დედასა, სად ხარ, ჩემო სიყმაწვილევ!—წამოიძახა მოლამ.

მერე მიიხედ-მოიხედა და, რომ ვერაფერს დაინახა, დაუმატა.

— არც სიყმაწვილესი ვიყავ დიდი ბედოვლათიო.

*
* * *

მეზობელმა მოლას ვირი სთხოვა.

— შინ არა მყავს, ჩემმა შვილმა გუშინ წისქვილში საფქვევი წაიღოო,—მიუგო მოლამ.

ამ დროს თავლიდან ვირის ყრპყინი მოისმა.

— აკი არა მყავსო, უპასუხა მეზობელმა,—აბა რა არის თავლაში რო ყვირისო?

— სულელი ყოფილხარ, ვილაცა ხარ!—შეუტია მო-

ლამ,—როგორ არა გრცხვენნიან, ვირისა გჯერა და ჩემი თეთრი წვერისა კი არაო!

*
* *

მოლასთან ერთი მეგობარი მივიდა და პირში ქება დაუწყო. მოლას ეს ძალიან ეამა.

— მოდი, ხვალ შემოიარე და ას თუმანს მოგცემო, —უთხრა მოლამ.

გახარებული მეგობარი წავიდა და მეორე დღეს ისევ ინახულა მოლა.

— რისთვის გარჯილხართ?—ჰკითხა მოლამ.

— იმ ფულისათვის, გუშინ რომ დამპირდით.

— შერე და რისთვის დაგპირდი ფულს?

— ჩემი ლაპარაკი რომ გეამა,—იმისათვის.

— ძალიან კარგი, შენ შენის ბაასით მაამე და მე კიდევ ჩემი დაპირებით,—ბარი-ბარსა ვართ, რა ფულებსა მთხოვ?—უპასუხა მოლამ.

*
* *

მოლა ათ კვერცხში ორ შაურს აძლევდა, თვითონ კი შაურად ჰყიდდა.

— ეგ როგორ იქნება, მოლა, აგრე ხომ იზარალებ?—უთხრეს ნაცნობებმა.



— წავაგო, არა უშავს-რა, ოღონდ კი ილაპარაკონ, მოლა ვაქრობსო.

* * *

მოლას ვირი მოჰპარეს.

— დიდება ალაჰს, დიდება ალაჰს!—იძახდა მოლა.

— მოლავე, რად აღიდებ ალაჰს?

— იმიტომ რომ ვირზე არ ვიჯექი, თორემ ვირთან ერთად მეც მომიპარავდნენო.

* * *

ერთხელ მოლამ მეჩეთში ხალხს მოუყარა თავი და უთხრა:

— იცი, ყურანში რა სწერია?

— არა, არ ვიცი.

— რა კი არ იცი, რაღა უნდა გელაპარაკოთ! მეორეჯერ მოლამ კიდევ ჰკითხა.

— იცი, ყურანში რა სწერია?

— ვიცი.

— რა კი იცი, მე რაღა უნდა გითხრათ.

ამის შემდეგ ხალხმა მოილაპარაკა:—თუ მოლამ კიდევ გვკითხა — რა სწერია ყურანშიო, ვუთხრათ: ზოგმა იცის და ზოგმა არა-თქო.

შემდეგ მოლამ ისევ ჰკითხა ხალხს:

- იცით, ყურანში რა სწერია?
- ზოგმა იცის და ზოგმა არაო, უპასუხა ხალხმა.
- მაშ ვინც იცის, იმან ვინც არ იცის იმას აუხსნასო.

* *

მოლასთან მეზობელი მივიდა და თოკი სთხოვა,
 — ვერ გათხოვებ,—უპასუხა მოლამ,—თოკი დღეს
 მე მჭირია, ზედ ფეტივი უნდა გავფინო და მზეზე გა-
 ვაშროო.

— ეგ რა უარის მიზეზია ან და თოკზე ფეტვის გა-
 ფენა ვის გაუგონიაო?

— იცი, ჩემო კარგო, როცა თოკის თხოვება არ
 მინდა, ფეტივი კი არა, ფეტილიც გაიფინება ზედაო,—
 უპასუხა მოლამ.

* *

მოლას ორი ქალი ყავდა. ერთი სოფლის მეურნეს
 მიათხოვა და მეორე—მეჭურჭლეს.

ერთხელ ცოლმა უთხრა მოლას:

— წადი, მოლა, და ჩვენი ქალები ინახულე, რო-
 გორ არიან და როგორ ცხოვრობენო.

მოლა დასთანხმდა და ეწვია სოფლის მეურნე სიძეს.

— როგორა ხარ, სიძევ, შენი საქმე როგორ მიდი-
 სო?—ჰკითხა მოლამ.

— ჯერ-ჯერობით, მადლობა ალაჰს,—უპასუხა სიძემ,—პური და ქერი ბევრი დაეთესე და თუ წვიმა მოვიდა, ხომ ავშენდები და თუ გვალვა დაიქირა, მთლად დავიღუპებიო.

აქედან წამოსული მოლა ეწვია მეჭურჭლე სიძეს და მოიკითხა:

— როგორა ხარ, ჩემო სიძევ, როგორ მიდის შენი საქმეო?

— ჯერ-ჯერობით, მადლობა ალაჰს, კარგად მიდის: ქოთნები, ქვევრები და ლიტრები ბლომადა მაქვს გაკეთებული და ველოდები—სიცხე და მზიანი დღეები დამიდგეს, რომ დაშრეს. თუ ღმერთმა ინება და წვიმა არ იქნა, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვეს და თუ წვიმა მოვიდა—დავიღუპებიო.

მოლა შინ დაბრუნდა.

— როგორ არიან შენი შვილები, როგორ ცხოვრობენო,—ჰკითხა ცოლმა.

— ძლიერ ცუდად! ამ ზაფხულში ერთ-ერთი ჩვენი სიძე უეჭველად დაიღუპებაო,—მიუგო მოლამ.

* * *

მოლა ღამე სხვისას დარჩა.

შუალამისას გამოეღვიძა და სახლის პატრონს სანთელი სთხოვა.

— სანთელი და ასანთი თავთ გიძევეს, მარჯვენია,
— უთხრა სახლის პატრონმა.

— რა საკვირველი ხალხია, — სთქვა მოლამ: — ამ
ბნელაში როგორ გავარჩიო, რომელია მარჯვენა მხარე
და რომელი — მარცხენაო.

* * *

— თქვენს ქვეყანაში იზრდება თუ არა საზამთრო? —
ჰკითხეს ერთხელ მოლას სადღაც სხვა ქვეყანაში.

— თუ დასთესენ — იზრდება და თუ ქარა — არაო,
მიუგო მოლამ.

* * *

როდესაც მოლამ მოლობა მიიღო და ჭრეველი გაი-
ჩინა, მეზობლებმა ჰკითხეს:

— რად გინდოდა მოლობაო?

— ჩემმა პაპის პაპამ მიანდერძა, რომ ჩემი სიცოცხ-
ლე ზარმაცობასა და მუქთა-ხორობაში გავატაროო! —
მიუგო მოლამ.

* * *

მოლასთან ერთი დედაკაცი მივიდა და უთხრა:

— ჩემი ქმარი დამპირდა, ბაირამობა დღეს ახალ
ფოსტლებს გიყიდიო. ნეტავ თუ იცი, როდისა გვაქვს
ბაირამი?

— ჩემო კარგო, შენი ბაირამი მაშინ იქნება, როდესაც შენი ქმარი ახალ ფოსტლებს გიყიდისო, — უპასუხა მოლამ.

* * *

მოლა და მისი ცოლი სადილად ისხდნენ. ცოლმა მეტად ცხელი წვენი შეხვრიბა, პირი დაეთუთქა და სიმწარისაგან ცრემლები გადმოსცვივდა.

— რა დაგემართა, დედაკაცო, რა გატირებსო, — ჰკითხა მოლამ.

— ცხონებულ დედაჩემს ამნაირი წვენი ძლიერ უყვარდა, ის მომაგონდა და გული ამომიჯდაო.

მოლას ჯერ წვენი არ გაესინჯა. ამ ლაპარაკის გამო ჩაფიქრებულმა უცებ დაუწყო წვენს ხვრება. პირი იმასაც ჩაეთუთქა და ცოლივით სიმწარისაგან თვალთაგან ცრემლები გადმოჰყარა.

— კაცო, შენ რაღა გატირებსო?

— მე იმას ვტირი, დედა-შენი რომ გარდაიცვალა, რატომ შენც თან არ წაგიყვანაო, — უპასუხა მოტყუებულმა მოლამ.

* * *

მოლას ძალიან ძველი და გამხმარი საპონი ჰქონდა შენახული.

მეზობლებმა სთხოვეს:

— ვიცი, ძველი საპონი გაქვს და თუ შეიძლება, ცოტა მიწილადე, წამლისთვის მინდაო.

— მაქვს, მაგრამ ვერ მოგცემ კიო.

— რატომო?

— იმიტომ, რომ ის საპონი უხმარებლობით, ზოგვით და სხვისთვის უსესხებლობით დამიძველებია; აქნობამდე რომ აგრე არ მოვქცეულვიყავ, ახლა არც ახალი მექნებოდა და აღარც ძველიო,—უპასუხა მოლამ.

* * *

ერთხელ მოლა შაჰმა იხმო, უთხრა:

— მოლა, სიბრძნესა და ჭკუას გიქებენ... ერთი ვირი მყავს დიად კარგი. მინდა ლაპარაკიც იცოდეს. თუ ლაპარაკს ასწავლი, წყალობით იგავსებო.

— ალაჰმა თქვენი წყალობა ნუ მომიშალოს, მზეთა სწორო! ვასწავლი ვირს ლაპარაკს, მხოლოდ ათი წელიწადი უნდა მომცე ვადად და ამ ხნის განმავლობაში ყოველწლიურად უნდა მაძლიო გასამრჯელოო.

შაჰი დასთანხმდა.

— მაგრამ თუ ამ ხანში არ გისწავლებია, თავს მოგპრიო.

მოლა შინ წაეიდაჴდა ცოლს ახარა,—შაჰი წყალობას გვპირდებო.

— მოლავ, რა ღმერთი გაგიწყრა და პირობა როგორ მიეცი ვირს ლაპარაკი ასწავლო?.. ხომ თავს მოგჭრის უეჭველადო.

— ქალო, ნეტავი შენ, რომ დარდობო,—უთხრა მოლამ—ათ წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონო.





ს ს ვ ა ღ ა ს ს ვ ა

იმერეთის მეფე სოლომონ პირველი ნადირობის დიდი მოტრფიალე იყო.

ერთხელ ნადირობისას თვალი შეასწრო თურმე ერთ გლეხკაცს, რომელიც ხმამაღლა სტიროდა და ჰყვიროდა. მეფეს გაუკვირდა და მაშინვე მივიდა მასთან ამბის შესატყობად:

— რა დაგემაართა, რომ აგრე სტირი?—ჰკითხა მეფემ.

— აქ ჩამოვხტი შესასვენებლად, ცხენი ბალახში გავუშვი. მე ჩამძინებოდა. ამ ძილში ცხენი მომპარეს და წაიყვანეს, ამას ვსტირი და ვიცემ თავშიო.

— თუ ცხენი საპატრონებელი გყავდა, რაღა გაძინებდაო,—უთხრა მეფემ.

— მე მეგონა თქვენ გელეიძათ, თორემ რა დამაძინებდაო,—მიუგო გლეხმა.

მეფეს ისე მოეწონა ეს სიტყვა, რომ გლეხს თავისი ცხენი აჩუქა და ამის შემდეგ ქურდებს სასტიკი ღევნა დაუწყო.

* * *

ენუქამ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. დაღონებულმა დაუძახა ყველა თავის ნაცნობ-მეგობრებს და სულ ყველას ანდერძი დაუწერა. ვის რა ქონებას აძლევდა, ვის—რას.

მეგობრები ნასიამოვნები დარჩნენ, მაგრამ ბოლოს ჰკითხეს:

— ენუქ, სად არის ეს ქონება, ვისგან უნდა მივიღოთ ისო?

— ეს ანდერძი ხომ დაგიწერეთ და ახლა ისიც მე ვიდარდო სად არის ეს ქონებაო?—უპასუხა ენუქამ.

* * *

ერთი ხელზე მოვაჭრე დილით ადრე სოფლის ორ-ლობეში მიიჩქაროდა. ზამთრის დილა იყო და ნიადაგის ზედაპირს უინული გადაჰქროდა.

უცებ ლობიდან ძალი გადმოხტა და მგზავრს შეუტია. მან ქვას ხელი დაავლო, მაგრამ ყინვას ის მიწაზე მიეკრა და ვერ ასწია.

— ეს რა სამართალი ჰქონიათ,—წამოიძახა მგზავრმა: ქვები დაუბამთ და ძაღლები აუშვიათო!

* * *

ერთხელ ერთმა მეგობარმა ხუმრობით უსაყვედურა სერგია ერისთავს:

— კაცო, რა არის, სულ ქუჩაში დალაყუნობ და სახლში თვეში ერთხელ არ შედიხარო.

სერგიამ ამ საყვედურზე პათეტიურად უბასუხა:

— „ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ქირი...“

* * *

1918 წ. სასახლეს (თბილისში) გვარდიელები ყარაულობდნენ.

— ღმერთო, ვმადლობ შენს მოწყალებას!.. კაცო, ვინც ყაჩაღია და დამცემი—ყველა შიგნითაა და გარედან ამ ხალხს ვისი დაცემის ეშინიაო, გაიკვირვა სერგიამ.

* * *

სერგია არ იყო დიდი მოყვანილობის ვაჟკაცი, მაგრამ ბუკულასთან (ერთი მისი მეგობარი) შედარებით თავი ყარამანად მოჰქონდა.

ერთხელ ლაპარაკი მოყვანილობაზე ჩამოვარდა. სერგიამ გაიხსენა ახალგაზრდობა და თავის თავიც ვაჟკა-

ცებში მოათავსა. ბუკულამ ვერ აიტანა ტრაბახობა და უთხრა:

— წადი შე კუზიანო,—შენც ვაჟკაცად მოგაქვს თავი რაღა!..

— შენამდის ხომ სწორი ვარ, ჩემო ბუკულა, და შენს ზეგით კუზიანი ვარ თუ უკუზო, რა შენი საქმეაო,— უპასუხა სერგიამ.

სერგია ერთხელ მძიმე ავადმყოფი შეიქნა. მორჩენის იმედი თითქმის ყველას დაეკარგა.

ერთ საღამოს მრავალ მნახველთა შორის ერთი მეგობართაგანი მიუახლოვდა მომაკვდავ ავადმყოფს და ხმამაღლა ჩასძახა:

— სერგია, ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო.

სერგიამ თვალეები გააქუჩტა და მას გადახედა.

— შე ღვთის გლახა, ნუ გეშინია, რაფა, ქუთაისში მივდივარ, რომ ხვალ საღამოს უკან დავბრუნდე, თუ რას ფიქრობო!...




ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერდი
1. წინასიტყვაობა	5
2. ესოპე	7
3. სოკრატე	8
4. პლატონი	10
5. დიოგენი	11
6. ალ. მაკედონელი	13
7. დ. სვიფტი	14
8. ვოლტერი	15
9. მონტესკიე	16
10. ბალზაკი	17
11. ჰენრიხ ჰეინე	19
12. ი. ნიუტონი	20
13. საფირი	21
14. ა. ს. პუშკინი	22
15. ა. თ. ლაბზინი	29
16. ი. ა. კრილოვი	30
17. ნაპოლეონ I	31
18. ლიუდოვიკო XVI	36
19. ფრიდრიხ II	37
20. ჩულალანგკორნი	41



21. პ. ი. ბაგრატიონი	43
22. გ. სააკაძე	44
23. შ. რუსთაველი	46
24. ნიკ. ბარათაშვილი	50
25. გ. ერისთავი	51
26. ი. ჭავჭავაძე	53
27. ა. წერეთელი	56
28. ვაჟა-ფშაველა	59
29. შოლა ნასრედინი	64
30. სხვადასხვა	74



რედაქტორი ნ. მალაზონია.
 კორექტორ-გამომშვები ე. ჩიქოვანი.
 ყდა დ. ჯვარშიევილის.
 გადაეცა წარმოებას 10/II-38.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV-38.
 ნაბეჭდი ფურცელი—5
 საბეჭდი ნიშნების რაოდენობა—146,000
 ჭალაღდის ზომა 64×92.
 მთავლიტის რწმ. № ბ—511
 დაკვეთის № 480
 ტირაჟი 5,000

9/27
9/27
საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

ფანი 4 მან.

პარლამენტის პრეზენტი ბიბლიოთეკა



K 12.424/2

ОСТРОТЫ

Собранные Д. Джавахия.

Аджаргиз. Батуми. 1938 г